(კენჭისყრა:
მხარი დაუჭირა–14,
წინააღმდეგი – 11,
თავი შეიკავა – 105)

გაეროს გენერალური ასამბლეა A/res/62/249

2008 წლის 29 მაისი

სამოცდამეორე სესია

დღის წესრიგის 16-ე პუნქტი

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია

[მთავარ კომიტეტებში გადაცემის გარეშე (A/62/L./45)]

62/249. აფხაზეთიდან, საქართველო, გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობა

გენერალური ასამბლეა,

იმოწმებს რა ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების დაცვისა და დახმარების გაწევის შესახებ თავის შესაბამის რეზოლუციებს, თავისი 2007 წლის 18 დეკემბრის 62/153 რეზოლუციის ჩათვლით,

აღიარებს რა ქვეყნის შიგნით პირთა გადაადგილების შესახებ საკითხის სახელმძღვანელო პრინციპებს როგორც მნიშვნელოვან საერთაშორისო-სამართლებრივ ბაზას ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების დასაცავად,

გამოთქვამს რა ღრმა შეშფოთებას აფხაზეთში, საქართველო, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის განსაკუთრებით, ეთნიკური კუთვნილების ნიადაგზე ძალადობის გამო,

იმოწმებს რა უშიშროების საბჭოს ყველა შესაბამის რეზოლუციას და აღნიშნავს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის (1994 წელი), ლისაბონის (1996 წელი) და სტამბოლის (1999 წელი) სამიტებზე გაკეთებულ დასკვნებს, კერძოდ, ცნობებს "ეთნიკური წმენდისა" და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა სერიოზული დარღვევების შესახებ აფხაზეთში, საქართველო.

გამოხატავს რა სინანულს თვითნებურ იძულებით გადაადგილების პრაქტიკასთან დაკავშირებით და მის უარყოფით შედეგებს მოსახლეობის ფართო ჯგუფების მიერ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების განხორციელებისათვის და ღრმად შეშფოთებულია ჰუმანიტარული სიტუაციით, რომელიც შეიქმნა აფხაზეთიდან, საქართველო, ასობით ათასი ადაამიანის განდევნის შედეგად,

შეშფოთებულია რა ღრმად დემოგრაფიული ცვლილებებით, რაც გამოწვეულია კონფლიქტით აფხაზეთში, საქართველო,

ხაზს უსვამს რა აფხაზეთში, საქართველო, მცხოვრები აფხაზი მოსახლეობის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის აუცილებლობას,

1. აღიარებს ყველა ლტოლვილისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირის და მათი შთამომავლების დაბრუნების უფლებას აფხაზეთში, საქართველო, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად;

2. ხაზს უსვამს აფხაზეთიდან, საქართველო, ლტოლვილებისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების ქონებრივი უფლებების დაცვის მნიშვნელობას, გამოვლენილს "ეთნიკური წმენდის" მსხვერპლთა ჩათვლით, და მოუწოდებს ყველა წევრ-სახელმწიფოს, არ დაუშვან მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირების მიერ რაიმე ქონების შეძენა აფხაზეთის, საქართველო, ტერიტორიაზე დასაბრუნებული პირების უფლებების დარღვევით;

3. ხაზს უსვამს, აგრეთვე, მწვავე საჭიროებას, ოპერატიულად შედგეს გრაფიკი, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა ლტოლვილის და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირის სწრაფ ნებაყოფლობით დაბრუნებას თავიანთ სახლებში აფხაზეთში, საქართველო;

4. სთხოვს გენერალურ მდივანს, გენერალური ასამბლეას 63-ე სესიაზე წარუდგინოს ყოვლისმომცველი მოხსენება ამ რეზოლუციის შესრულების შესახებ;

5. ადგენს, თავის 63-ე სესიის წინასწარ დღის წესრიგში შეიტანოს პუნქტი სათაურით "გაჭიანურებული კონფლიქტები სუამის სივრცეში და მათი შედეგები საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის".

97-ე პლენარული სხდომა

2008 წლის 15 მაისი.

(http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N07/478/73/PDF/N0747873.pdf?OpenElement)